რელიგიურობა და ამბივალენტური სექსიზმი: როგორ წინასწარმეტყველებს რელიგიურობა მტრულ და კეთილმოსურნე სექსიზმს

ქეთევან ედიბერიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ედიბერიძე

17 მაისი, 2023 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში რელიგიურობასა და ამბივალენტურ სექსიზმს შორის კავშირის ბუნებაზე სამეცნიერო ლიტერატურა მწირ ინფორმაციას გვაწვდის. კვლევების თანახმად, რელიგიურობა დადებითადაა დაკავშირებული კეთილმოსურნე, მაგრამ არა მტრულ სექსიზმთან. წინამდებარე კვლევა, რაოდენობრივი მეთოდის საშუალებით, რელიგიურობის სხვადასხვა განზომილებასა და ამბივალენტურ სექსიზმს შორის კავშირის შესწავლას ისახავდა მიზნად. მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იყო ხელმისაწვდომი შერჩევა. 150 ადამიანის გამოკითხვის შედეგად, რელიგიური პარტიკულარიზმი როგორც მტრული, ისე კეთილმოსურნე სექსიზმის დადებითი პრედიქტორი აღმოჩნდა. რელიგიურობის განზომილებებიდან, ასევე, რელიგიურობის შედეგები აღმოჩნდა მხოლოდ კეთილმოსურნე სექსიზმის დადებითი პრედიქტორი. კვლევიდან ირკვევა ისიც, რომ არსებობს სქესთაშორისი განსხვავება ამბივალენტურ სექსისტურ დამოკიდებულებებში, კერძოდ, მამაკაცები საშუალოდ უფრო მაღალ ქულებს იღებენ როგორც მტრულ, ისე კეთილმოსურნე სექსიზმში. ასევე, გამოვლინდა, რომ კეთილმოსურნე სექსიზმსა და მტრულ სექსიზმს შორის არსებობს ძლიერი დადებითი კორელაცია, რაც ამ ორი განსხვავებული კონსტრუქტის ერთი საერთო ფორმიდან აღმოცენებაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, საქართველოში როგორც მტრული (ღია), ისე კეთილმოსურნე (ფარული და დახვეწილი) სექსიზმი ჯერ კიდევ ფესვგადგმულია და მათი საშუალო მაჩვენებლები თითქმის უტოლდება ერთმანეთს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კეთილმოსურნე სექსიზმი, მტრული სექსიზმი, ამბივალენტური სექსიზმი, რელიგიურობა, პარტიკულარიზმი, რელიგიურობის შედეგები, რელიგიური პრაქტიკა, რელიგიური გამოცდილება.

Abstract

Scientific literature provides scant information on the nature of the relationship between religiosity and ambivalent sexism in Georgia. According to research, religiosity is positively

related to benevolent but not hostile sexism. The present study aimed to study the relationship between different dimensions of religiosity and ambivalent sexism through a quantitative method. Convenience sampling was used to collect the data. In a survey of 150 people, religious particularism was found to be a positive predictor of both hostile and benevolent sexism. Among the religiosity dimensions, consequences of religiosity were also found to be only a positive predictor of benevolent sexism. From the results, we conclude that there is a gender difference in ambivalent sexist attitudes, namely, men score higher on average in both hostile and benevolent sexism. Also, it was found that there is a strong positive correlation between benevolent sexism and hostile sexism, indicating that these two different constructs emerge from a common form. It seems that both hostile (overt) and benevolent (covert and subtle) sexism are still entrenched in Georgia, and their average rates is almost equal to each other.

Keywords: Benevolent sexism, Hostile sexism, Ambivalent sexism, Religiosity, Particularism, Consequences of religiosity, Religious practicess, Religious experiences.